ხელშეკრულება №22

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

23 იანვარი 2017 წ.

დაბა შუახევი

ერთი მხრივ **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის **ტარიელ ებრალიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2016-2017“-ის ჩატარება შუახევის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2017 წლის იანვარში, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

1.3 CPV -79900000.

1.4 SMP-170000196.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.

2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2016-ის“ შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება **2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე არა უგვიანეს **2017 წლის 15 მარტამდე;**

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;

5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;

6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მისამართი: თამარ მეფის ქ. #30, დ. შუახევი
ს/კ 247865145

მიმწოდებელი

შპს „ეტალონი-მედია“
თბილისი, წერეთლის გამზირი #116,
დიდუბე პლაზა, ოფისი #201
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608

გამგებელი

/ტ.ებრალიძე/

დირექტორი

/მ.ღოღობერიძე/

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“

ინტელექტუალური კონკურსების მუნიციპალიტეტებში
(ადგილებზე) ჩატარება

შპს „ეტალონი-მედია“ წარმოგიდგენთ პროექტის ნაწილობრივ ხარჯთაღრიცხვას

ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
შეკითხვების მომზადება-შერჩევა-პროგრამული დამუშავება (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ტექნიკური ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	535
ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1015
მგზავრობის და მივლინების ხარჯი	525
პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება	290
საკანცელარიო ხარჯი (მ.შ. სიგელები, დიპლომი)	144
ჯამი	2509
პლუს დღგ 18%	451
სულ	**2960**

შპს „ეტალონი მედიას“ დირექტორი:

.....

მ. ღოღობერიძე